



ფეხბურთი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 ოქტომბერი ოთხშაბათი 2011
№ 252 (13549) ფასი 80 თეთრი

დაბვირბყაჲს უუფა პენალტს?

თბილისური ფუტსალის
სკანდალური ბაბრძილეზა



თამუნა ყულუმბეგაშვილი ფოტო

3

www.msy.gov.ge



ეროვნული
ბიბლიოთეკა

13


ფუნოშენი

ხალხი ხმას აქლევს
მამუკა გორგოძის




2

საქურჯანია ძაღუფი



იუჲე და ბარსა
ურთი დღითი? 8-9



ახსოვნი ფეხბურთი

გუგინი

იუვენტუსი (4-2-3-1): სტორარი - ლობ-ტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - პირლო, მარკიზიო - ვიდალი (88. პაციენცა), პეპე (87. დე ჩელიე) - ვუჩინი (78. ესტივარია), მატრი.

ლუკა

მილანი-პარმა 22.45
ტრავმა: ტიაგო სილვა, გატუზო, პატო, ფლამინი, ზეედორფი - ფლოკარი.

სპალ

პალერმო-ლანე 22.45
ტრავმა: დი მატეო - დი მიკელე, დიამუტენე, ფერარო, ულიო სერუო.

თიფნი

Table with 5 columns: Rank, Team 1, Team 2, Goals, Points. Lists various football matches and their results.

პომბარდირები: 6 - დი ნატალე (უდინეზე); 5 - პალასიო (ჯენოა), ჯოვიეო (პარმა); 4 - დენისი (ატალანტა); 3 - მიკოლი (პალერმო), მილოტი (ინტერი), ოსვალდო (რომა), რიგონი (ნოვარა), ჩერჩი (ფიორენტინა), კლოზე (ლაციო), კავანი (ნაპოლი).

იტალიური საფეხბურთო სამყარო ჯერ კიდევ VIII ტურში განვითარებულ მოვლენებს აჯამებს, არადა, უკვე მომდევნო ტური დაიწყო, რომელიც წუხელ „იუვენტუსი“-„ფიორენტინას“ პაექრობით გაიხსნა. რვა შეხვედრა დღეს გაიმართება, ერთი კი ხვალ - სიცილიაში „პალერმო“ „ლერეს“ უმასპინძლებს.

სერია A. IX ტურის წინ



საინტერესო მატჩის მოლოდინში

ლიდერს ნაპოვლში გაემოსდინან ორი ნერაძურის ჯახი პერბაოში

დაგვივინყდეს, რომ საქმე გასული სეზონის ოთხეულში მოხვედრილი გუნდების ჯახთან გვაქვს. „უდინეზე“ ბრწყინვალე ფორმაშია და შეეცდება მორიგი სამი ქულა ჩაინეროს აქტივში, მაგრამ არც „ნაპოლი“ ჯახბანი, მით უმეტეს საკუთარ მოედანზე და ბუნებრივია, იოლად არაფერს დათმობს. ერთი სიტყვით, „სტადიო სან პაოლოზე“ დიდი ბრძოლა გაჩაღდება.

ფეხბურთელი, რომელიც ნახევარდაცვაში უდიდეს სამუშაოს ასრულებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესო თამაში იქნება და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

გამოში, სადაც „ატალანტა“ „ინტერს“ უმასპინძლებს. ორი „ნერაძურის“ დაპირისპირება ნამდვილად გამოსარჩევია, რადგან ბერგამოელები მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობენ. ის ამბავი, რომ საჯარიმო ქულების გარეშე „ატალანტა“ დღეს გაცილებით მაღლა იქნებოდა სატურნირო ცხრილში, ყველას კარგად მოეხსენება - ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ დაკლებული ექვსი ქულის მიუხედავად, ბერგამოელები მაინც უსწრებენ მილანელებს.

ტანდემს უნდა ველოდოთ. ვერ გეტყვით, რატომ გადაწყვიტეს ასე, მაგრამ იტალიელი ჟურნალისტები ჯამპაოლო პაციენის ერთხმად ტოვებენ სათადარიგოთა სკამზე. გამთამაშებლად ვესლი სნეიდერი გაირჩევა, მის უკან კი სავარაუდოდ დიან სტანკოვიჩი, ტიაგო მოტა და ხავიერ ძანეტი იმოქმედებენ. ბერგამოელებს ძირითადი შემადგენლობის ორივე ფორვარდი მწყობრში ჰყავთ: დენისიცი და მორალესიცი „ინტერს“ გოლებით ეშუქებიან, ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

ლაშა ნიკლაური

Advertisement for Dolaren (Dolapren) medicine. Includes text: 'დოლარენი', 'საავაშური ტკივილი', 'მენსტრუალური ტკივილი', 'სახსრების ტკივილი', 'ნეპრალგია', 'რევმატოიდური ართრიტი', 'რადიკულიტი', 'ოსტეოართროზი', 'კიბის ტკივილი'. Shows a box and blister pack of the medication.

IX ტური

ესპანეთი, ლა ლიგა

VIII ტური, მატჩი

დევან-ბერი The Man Who Saved Sevilla



გრანადა-ბარსელონა 0:1
გრანადა (4-2-3-1): რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, მინისი, სიკერა - ფ. რიკო (79. მოლო), მ. რიკო - აბელი, ხაიმე, ბენიტესი - უჩე (63. ხეხი).

სევილია-რასინგი 2:2
სევილია (4-2-3-1): ხავი ვარასი - კოკე (73. ლუის ალბერტო), სპაპირი, ესკუდე, კასერესი - მედელი, კამპანია (73. რატიჩი) - ხესუს ნავასი, ტროხოვესკი, არმენტეროსი (60. ნეგრედო) - დელ მორალი.

Table with 2 columns: Team and Score. Lists various teams and their scores in the league.

ბარსა ისევ პირველია

სულ მცირე ერთი დღით „ბარსა“ პირველ ადგილს დაუბრუნდა, თუმცა ჩემპიონის თამაში აუტისაიდერ „გრანადასთან“ კრიტიკას ვერ უძლებს - ეს იყო კატალონიელთა ერთ-ერთი ცუდი მატჩი სეზონში, მაგრამ ფეხბურთში მთავარი შედეგია, ტაბლოში კი ანდალუსიაში ხოსე გუარდოლას გუნდის მინიმალური უპირატესობა დააფიქსირა - 1:0. გამარჯვების გოლი ჩავიმ საჯარიმოდარტყმით გაიტანა. მასპინძლებს გრანადის ნინაბლმდე იარაღი არ აღმოაჩნდათ - ვიქტორ ვალდესის კარში ერთხელაც არ დაურტყამთ ზუსტად და, ბუნებრივად, ესპანეთის ნაკრების გოლიკაპერმა „მშრალი“ სერია კიდევ 90 წუთით გააგრძელა. ყველაფერთან ერთად „გრანადას“ ჯერ ხაიმე რომერო, ბოლოს კი დანი ბენიტესი გაუქვევს.



მართალია, ნუხელ უკვე ახალი ტური დაიწყო პრიმერადივიზიონში, მაგრამ მკვიდრებს ჩვენეული შეჯამების გარეშე არ დავეცოვებით. მას ასე, თქვენს წინაშეა მე-8 ტურის ავ-კარგი, ტური, რომელშიც ისტორიული ფაქტი დაფიქსირდა - ლა ლიგას სათავეში ერთპიროვნულად ვალენსიის „ლევანტე“ მოექცა.

ბარსა-რეალმა რაც უნდა სასწაული მოახდინოს „ლევანტემ“ პრიმერადივიზიონში, გულშემოტყვივართა უმეტესობას პირზე მაინც „ბარსელონა“ და „რეალი“ აკერია. ვნახოთ, როგორ ითამაშეს ამ ტურში გრანდებმა: მაშინ, როცა კატალონიაში დაკარგულ ქულებს მისტიროდნენ, დაქალაქში ზეიმი იყო - „ბარსამ“ „სევილიას“ ვერაფერი მოუხერხა, კლუბს, რომელმაც თამაში 9 კაციც ამარა ჩამთავრა და რომლის კარშიც 94-ე წუთზე თითქოსდა გამარჯვების მომბანი თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, თუმცა ამაოდ. „რეალმა“ კი გაძლიერებულ „მალაგას“ სტუმრად მანსი არ დაუტოვა, პირველივე ტაიმში ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა, მერე კი დაისვენა.

შედეგად, მოხდა ის, რომ „სამეფო კლუბმა“ 1 ქულით გაუსწრო ჩემპიონს. და, ვინ იცის, იქნებ ეს ერთი ქულა აღმოჩნდეს ბოლოს გადაწყვეტი. მწვრთნელიან-ფეხბურთელიანად ყველა ირწმუნება, რომ „რეალს“ არასდროს უთამაშია ასე კარგად, როგორც ეს „მალაგასთან“ პირველ ტაიმში შეძლო. 15 წუთში პეტე თორიკის ავტორი კრიშტიანო რონალდო კი უფრო შორს წავიდა: მორჩა, გათავდა - ჩემპიონობისთვის მზად ვართო. პორტუგალიელმა სეზონში მესამე პეტე თორიკი მოითვალა.

„ბარსელონას“ ბანაკში კი მხოლოდ ერთი დადებითი მოვლენა მოხდა - ვიქტორ ვალდესმა პირადი რეკორდი გააუმჯობესა, „სევილიასთან“ მატჩის 57-ე წუთზე 577-წუთიან „მშრალ“ სერიას გადააბიჯა, გოლი არც მერე გაუშვია, ასე რომ, ნუხანდელ მატჩამდე მისი სერია 607-წუთიანია. „ჩემი პირადი რეკორდები ყოველთვის მეორეხარისხოვანია ჩემთვის. მთავარი მოგება, ჩვენ კი ვერ მოვიგეთ, ამიტომ ვერ წარმომიდგენია, რა უნდა ვიზიჟო“, - განაცხადა გოლიკაპერმა. აი, ასე - მართლაც, რა არის საზეიმო, გვარდიოლას გუნდმა 188 მატჩიდან მხოლოდ მე-14-ედ ვერ შეძლო გატანა.

ჩავი ერნანდესმა კი დიდი აღიარება მოიპოვა - მან „ბარსას“ ფანების გამოკითხვაში გაიმარჯვა და 2010/11 წლების სეზონის გუნდის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მიიღო. ჩავიმ ნახევარ მილიონზე მეტი ხმა მიიღო და ლეო მესის და ანდრეს ინიესტას გაუსწრო.

მესი VS რონი

ამჯერად საკამათოც არაფერია, კრიშტიანო რონალდო ტურის ერთადერთი პეტე თორიკის ავტორია, ლიონელ მესი კი - ტურის მთავარი ანტიგმირი. ჩვენეული ანგარიში მათ შორის გათანაბრდა - 4:4. სიმბოლურია, რომ ბომბარდირთა დავამიც ამ ორს 10-10 გოლი აქვს გატანილი. რონალდომ „მალაგასთან“ 90 წუთი ითამაშა, კარისკენ 5-ჯერ დაარტყა (4-ჯერ ზუსტად, 3-ჯერ შედეგანად), 4-ჯერ დაარტყევს მასპინძლებმა მის წინააღმდეგ თამაშის წესი, ერთხელ კი თავად პორტუგალიელმა იცუღლულა. მესიმ 8-ჯერ დაარტყა კარისკენ, აქედან 2-ჯერ ზუსტად, ერთხელ თამაშგარეში მოხდა და ერთხელ დაჯარიმდა. რაც ყველაზე მთავარია, 94-ე წუთზე ვერ გაიტანა პენალტი.

Table with 4 columns: Player, Goals, Assists, Cards. Compares Messi and Ronaldo's stats.

რონალდო

ჩავი



ლეო დიდი პენალტისტი ვერ არის - კარიერაში 22-დან 6 შემთხვევაში ვერ გაიტანა. წლეულს ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მას თერთმეტმეტრიანი ვერ გააქვს. გთავაზობთ მესის ყველა უშედეგო პენალტს

Table with 4 columns: Date, Opponent, Goals, Assists. Shows Ronaldo's performance over time.

ბურის სიგნალური ნაკრები
GOAL.COM 442
სავიზარასი (სევილია, მე-3-ედ სიმბოლურში) - ალ-ბარტოლორა (სპორტინგი, 1), შალინა ესკუდე (სევილია, 1), ფადრიკო ფასიო (სევილია, 1), მარსელო (რეალი, 1) - ანხელ ლი მარია (რეალი, 1), ეპირ ბანაბა (ვალენსია, 2), იპარ მუნიაინი (ბილბაო, 1), სუანლუგო-მესი (ლევანტე, 1) - კრიშტიანო რონალდო (რეალი, 5), არუნა კონე (ლევანტე, 1).

Table with 4 columns: Rank, Name, Goals, Assists. Lists top scorers and their statistics.

სუან იხანსიო (ლევანტე): „რეალის“ და „ბარსას“ წინ ყოფნა ჩვენ ყველაზე თამამ ოცნებებშიც კი არ ჩავთვითვალთ, - ტურის დასრულების შემდეგ პირველ ადგილზე გადასვლის შემდეგ.
პრიმერადივიზიონში (რეალი): „მგონი, მოვიდა დრო, რეალმა იჩემპიონოს, - „მალაგას“ კარში პეტე თორიკის შესრულების შემდეგ.
სუანიამერი (ვალენსია): „კარგად დავეწყეთ და კარგად დავასრულეთ, უნდა მოგვეგო, - „ბილბაოსთან“ 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ.
გრამორიო მანსანო (ატლეტიკო): „კარგად მესმის, რატომ ბრავოზს პუბლიკა - ასე თამაში ატლეტიკოს“ არ ეკადრება“, - „მალაგასთან“ 1:1-ის შემდეგ.
სავიზარასი (სევილია): „წინასწარ ვიცოდი, საით გადავმხტარიყავი - მესი კარგად შევისწავლე“, - პენალტის მოგერიების შემდეგ.

მესტალიაზე ყველაზე მეტი ფეხბურთელი დაშავდა და ყველაზე მიმედაც - ბილბაოს „ატლეტიკოს“ კაპიტან კარლოს გურპეგის ჯვარედინი მყესები განყვეტილი აქვს, მისთვის სეზონი დასრულდა. თითქმის ანალოგიური ტრავმა აქვს ვალენსიელ სერხიო კანალესს, რომელიც 3-6 თვე იოქმებს. შედარებით იოლად გადაარჩა ფერნანდო რორენტე, სავარაუდოდ, ის მხოლოდ 1 კვირას იოქმებს.
„კამპ ნოუზე“ საზარდული იტყინა კარლეს პუიოლმა (ბარსელონა) და 3 დღეს დაისვენებს.

სევილიას ნახევარმცველი ხოსე გომეს კამპანია მხოლოდ 18 წლისაა. მან პრიმერადივიზიონში პირველად ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში. დებუტი „კამპ ნოუზე“ 0:0 დასრულებულ შეხვედრაში, საყრდენ ნახევარმცველისთვის ბრწყინვალეა. კამპანია „სევილიას“ აღზრდილია. ძირითად გუნდში დებუტი მას 25 აგვისტოს „პანოვერთან“ ევროპალიგის მატჩში ჰქონდა, სამი დღის მერე მან ლა ლიგაშიც ითამაშა, მაგრამ სასტარტოში პირველად შაბათს იყო.

პეტი თორიკი - კრიშტიანო რონალდო (რეალი).
ლეოლი - სუანლუგო მესი (ლევანტე).
ლიონელ მესიმ (ბარსელონა) ვერ გაიტანა პენალტი.
ტურის ყველაზე ახალბედა ფეხბურთელი: ხოსე კამპანია (სევილია, 18 წლის).

ყველაზე მეტი გაშვებული: 82 743 - „კამპ ნოუ“
ყველაზე ნაკლები გაშვებული: 10 000 - „ელ სარდინერო“
ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 22 - ვალენსია, ბარსელონა
ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 8 - ბარსელონა
ყველაზე მეტი ჯარიმა: 24 - სარაგოსა
ყველაზე მეტი კუთხური: 12 - ბარსელონა, ბეტისი
ყველაზე მეტი თამაშგარე: 8 - ხეტაფე
ყველაზე მეტი ბურთის ფლორა: 77% - ბარსელონა
გვარდნი მოამზადა ნიკოლო ნეშარიძე



ქართული სპორტი


ძიუდო



ახალგაზრდული გუნდის გახსნა

საქართველოს ძიუდოსტთა ახალგაზრდული ნაკრები დუშეთშია და ამ...

ვე კარგადაა მომზადებული, მაგრამ ჯერ პატარები არიან, ეს კი ამ ასაკში ბევრად...



ვედრიდან უკლებლივ ყველა წმინდა მოიგო! უმეტესობაში მეტოქე შებოჭა - ფიზიკურად ჩინებულად მომზადებულს...

ირაკლი თაყაიძე

თავისუფალი ჰილდობა

თუშიშვილი არ ნებდება

თავისუფალ ჰილდობაში ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის პრიზორი, გორელი ფალავანი ოთარ თუშიშვილი, მთელი სეზონია არენაზე არ გამოჩენილა.

„ტრავმების პრობლემა სულ თან მდევს, მაგრამ ასე იოლად რომ დავნებებოდა, დღეს ჩემი ტიტულები არ მექნებოდა.“

შესაბამისად 2012 წლის ოლიმპიადის სავსურის მოპოვების შანსი - გვითხრა ოთარ თუშიშვილმა.

შეგახსენებთ, ამას წინათ მსოფლიოს ჩემპიონატზე 66 კგ-ში მისივე თანადარბაზელი, გორელი ფალავანი შალვა მუზიაშვილი ასპარეზობდა, რომელიც ასევე კარგი მოჭიდავეა, მაგრამ სტამბულში უღიცივნოდ დარჩა.

„თუშიშვილი შეუპოვარი და გამოცდილი ფალავანია. მიუხედავად ტრავმების და მკურნალობის პროცესისა, ის მაინც ცდილობს ჰილდობას. აქამდეც მუდამ გვახლდა შეკრებებზე და ვარჯიშობდა გუნდთან ერთად.“



ვასილ ბლახნიძე

კადრაკი

ელადაში რჩეულები მოიყრიან თავს

შპსი გაუწყეთ, რომ ბერძნული სამოთხე - საკურორტო ქალაქი პორტო კარასი 2-დან 12 ნომბრამდე მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის მე-18 გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს.

დღეისთვის ევროპის 2011 წლის გუნდურ ჩემპიონატში საასპარეზოდ ქალთა 28 ნაკრებია დარეგისტრირებული.

რეთის, რუმინეთის, სლოვენისა და საფრანგეთის ქალთა გუნდებს, რომლებსაც საკმაოდ მაღალი საშუალო რეიტინგი აქვთ და შემადგენლობებში ძლიერი მოჭადრაკეებიც მყავთ.


ვაჟებში ჯერჯერობით 38-მა გუნდმა განაცხადა ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი. ქართველებს საშუალო რეიტინგით (2632) მხოლოდ მე-15 ადგილი უკავიათ.

რეიტინგით მეორე ადგილზეა უკრაინა (2479). გუნდის ლიდერად ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლახნო (25564) მიიჩნევა.

საქართველოს ნაკრები გუნდები მსგავს შეჯიბრებებში კარგა ხანია მონაწილეობენ და არაერთი ნარმატივისთვის მოუღწევიათ.

საქართველოში მედლების მოპოვების შანსი აქვთ, ასევე, სომხეთის, უნგრეთის, პოლონეთის, გერმანიის, ბულგარეთის, რუმინეთის, სლოვენისა და საფრანგეთის ქალთა გუნდებს, რომლებსაც საკმაოდ მაღალი საშუალო რეიტინგი აქვთ და შემადგენლობებში ძლიერი მოჭადრაკეებიც მყავთ.

ვაჟა დანელია



ეს სასახლე უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებს

კადრები



მარცხნიდან: ნინო ხომერიკი, გუგა ბურდული, შალვა ნადირაშვილი, ირაკლი ბერაძე

სათავაზო კავკასიელები

თურქულ ქოჯაელში დაიწყო 16-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადი, რომელიც 26 ქვეყნის გუნდები მონაწილეობენ. გამარჯვებული და პრიზორები გამოვლინდებიან შვეიცარიული სისტემით 10 ტურად. შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრები (ირაკლი ბერაძე შალვა ნადირაშვილი, გუგა ბურდული, ნინო ხომერიკი) საშუალო რეიტინგით (2033) მეთერთმეტეა. ფავორიტია რუსეთის გუნდი (2455), რომლის შემადგენლობაშიც ორი დიდოსტატი (დანიელ დუბოვი, ვლადიმირ ფედოსევი) თამაშობს. მეორე-მესამე ადგილებზე აზერბაიჯანელები (2361) და ინდოელები (2351) არიან.

რესო, რომ ნადირაშვილს, დიდი მცდელობის მიუხედავად (პარტიამი 122 სულა გათამაშდა), მეტოქის ლაზიერის წინააღმდეგ ორი ეტლი და სამი პაიკი არ ეყო მსაჯებად.

როგორები

შაფათაჟას სობა დააკლდა

ზრანბაშა უატიემი სულ ცოტა დააკლდა სოფიო შაფათაჟას (277) 100-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გასვლამდე. მეორე საკვალიფიკაციო წრეში ქართველმა მასპინძელ ლუ ბრულოს (777) მოუგო - 6:4, 6:4. ფინალურ წრეში შაფათაჟამ სამსეტეიანი ორთაბრძოლა წააგო მე-2 ნომრად განთესილ რუმინელ მადალინა გონინასთან (185) - 6:3, 4:6, 4:6. ასე რომ, ძირითად ბადეში ერთადერთი ქართველი იასპარეზებს - ანა ტატიშვილი (88) პირველ წრეში ფრანგ ალიზ კორნეს (94) ხვდება. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინათ ალიზ კორნე მსოფლიოს მე-11 ჩოგანი იყო.



სოფიო შაფათაჟა

ანთალიაში, 10-ათასიანი ტურნირზე ეკა გორგოძე (413) მე-3 ნომრად არის განთესილი და შვეიცარიელ ვიქტორია გოლუბიჩს (560) ხვდება, ხოლო სოფიო ქვაცაბაია (467) ტურნირის მე-4 ნომერი და პოლანდიელ სინდი ბურგერს (1055) ეთამაშება.

თავდასაცემი მართლმადიდებელი ბიზნისმენი რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი ჯემალ ღალანიძე

ღაბიუბი

ჩვენში (საბჭოთა კავშირი) რომ აინდიანო სკოლის კურსი შემოიღეს, ძალიან შეეწინა. თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება ჩემი ბავშვობისდროინდელი ოცნება იყო. თუ პირველ წელს ვერ ჩააბარებდი „გიდურთავდენი“ თავს ჯვარში და იკარგებოდა მთელი ნაოცნებარი. ამიტომ ერთი წელი წინ ნავიგდელ და საინგილოში გადავედი საშუალო სკოლის დასამთავრებლად (ერთ წელს ვიგებდი). კახი - ასეთი სოფელია საინგილოში. იქ ავიდგი ფეხი როგორც სპორტსმენმა. კერძოდ, როგორც ფეხბურთელმა და უფრო „კერძოდ“ სწორედ როგორც მეკარემ, ანუ გოლკიპერმა და ანუ - კარის დარაჯმა.

„გაი დედა!“ არ ვიკადრე. ღირსეულად წამოვდექი და მხოლოდ გასახდელში ვიგრძენი სივრცე. გარჩეული ნაბლის ჩხვლეტა ბურძგლები გამმოუყრიათ თურმე ჩემს სათამაშო არეალზე და სამი დღე ვიცილებდი იმ ეკლებს.

უზარმაზარი ტრუსიკი კი არ იყო, იპო იყო მოკლე და შემოვავიტი. ბიჭო - მეუბნება ჩვენი მწვრთნელი - იპოლიტე - თუ ღმერთმა ქნას და დაგიტყვას - არ აილო, თვარა გაგიჩქევთ თავი!



მარცხნიდან: ჯემალ ღალანიძე, სერგო კოტირაძე და გურამ სალარაძე

მოკლედ, 1952 წლის 27 ივლისია. ვეკვთეთ ერთმანეთს აქეთა და იქითა კახის ფეხბურთელები. პანანკინტელა მოედნის გარშემო ჯგრო მაყურებელი შეგროვდა. სად იყო ზღუდები. ვისაც არ ეზარებოდა და ვინც ვის დაასწრებდა, ყველა მოედნის პირით ხაზთან მოდიოდა. ზოგი ფეხზე იდგა, ზოგი - მოფრთხმული - სიგარეტის წვევაში გამეცადინებულნი და, რაც მთავარია, ავრესიული ფანი. 3:0 ვიგებთ. ჩემს კართან, ბოლო წუთზე დაინიშნა პენალტი. მოემზადა მონინალმდეგის „მოპენალტი“. გაასწორა ბურთი ნიშნულზე. მეც გაფაციცებული მივჩერებოვარ ფეხებში და ჰა... ჰა, რომ უნდა დარტყვას, ზურგს უკნიდან რაღაც მრიალი მომწვდა.

თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ჩემს ფეხებთან, ანუ პენალტის მომლოდინე მეკარის ფეხებთან რაღაცები დაცვივდა. მაგის დროსად მქონდა - გამერკვია - რა ხდებოდა. მთელი ყურადღება ბურთისკენ მაქვს გადატანილი. დარტყმის ტრაექტორია ინტუიციით შევაფასე და გავფრინდი კიდევაც მარცხენა მალალი კუთხისკენ. პაერში მოვიგერიე ბურთი და გახარებული მიწაზე ვეშვებო, გახარებული და ბედნიერი.


„რაო? - ბურთი, ბურთი გაიტანეთ თქვენ! - იპოოო, იპოოო! - ყიყინა სტადიონის ტრიბუნებზე. - ასე ვიცი მე! - წამოხტა იპო და მსაჯეს ბურთი ცენტრალურ ხაზზე დაადებინა.



კალენდარი

საქართველო ახალბედა გუნდები

დავითი, რაბო ნაპილენი ლაბორანტი სოხუმიდან?



11 ნოემბერს „მინსკი“ სტუმრად „სოხუმს“ 63:97 წააგო, რის შემდეგაც სამ დღეში სამმა ლეგიონერმა მარკ სალიერსმა, ფრენკ რობინსონმა და პიერ პირსმა გუნდი დატოვეს. შესაბამისად, სუპერლიგის განაცხადში სოხუმელთა გუნდში მხოლოდ ერთი უცხოელი ბრენდონ გაი შევიდა.

კონტრაქტები კალათბურთელების კლუბიდან წასვლა თავისთავად მიუთითებდა, რომ არსებობდა წყალქვეშა დინამიკები, რომელთა საამქარაოზე გამოტანას ბევრი ერიდებოდა. ისიც ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაცხადდებოდა. გუშინ სწორედ ეს დღე იყო...

სჯობს მოვლენებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მივყვეთ. დავიწყოთ იქიდან, რომ აგვისტოში კონტრაქტები გაფორმდა ხუთ უცხოელ კალათბურთელთან: მარკ სალიერსთან, გრეგორი სტიმსონთან, ფრენკ რობინსონთან, პიერ პირსთან და ბრენდონ გაისთან. ისინი გუნდს აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში შეუერთდნენ. ხელფასები სექტემბრის შუა რიცხვებამდე უნდა აეღოთ, მაგრამ გადახდა დაგვიანდა, რამაც კალათბურთელთა ხასიათზეც იმოქმედა და ლატვიურ შეკრებაზე მყოფმა მოთამაშებებმა ვარჯიში პირველად 20 სექტემბერს გააცდინეს. მათ შორის არ იყვნენ სალიერსი და გაი (არც ქართველები).

ერთ გაცდენას მეორე მიჰყვა, რაც ევროჩელენჯისთვის მზადების პროცესში გუნდისთვის სასარგებლო ნამდვილად არ იყო. 24 სექტემბერს გუნდი საქართველოში დაბრუნდა, კალათბურთელებმა გარკვეული თანხა მიიღეს და ვარჯიში განახლდა.

მანამდე, 22 სექტემბერს გუნდი დატოვა გრეგ სტიმსონმა...

30 სექტემბერს „სოხუმს“ საერთაშორისო ტურნირის წინ გენერალური რეპეტიცია შსს-სთან მატჩში უნდა გაეკეთებინათ. თამაშის სანახავად „დინამოს“ ბაზაზე ხალისით მივიდით, მაგრამ გაოგნებული დავრჩით: თამაშს ვინ ჩიოდა, გუნდის ნახევარი ვარჯიშზე არ გამოცხადდა. ვინც მივიდა, სროლებში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ტაქტიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. არადა, სამ დღეში თბილისს „მინსკი“ სტუმრობდა. როგორც მიხვდით, ამის მიზეზი ხელფასების დაგვიანება უნდა ყოფილიყო.

საბედნიეროდ, მატჩამდე ორი დღით ადრე კალათბურთელების დავალიანება გაისტუმრეს და „სოხუმს“ შემართებით გავიდა ბელარუსებთან სათამაშოდ (4 ოქტომბერს). 94:78 - მასპინძელთა სასარგებლოდ. ნამატჩევს პრესკონფერენციაზე მთავარმა მწვრთნელმა აინარს ბაგაცკისმა აღნიშნა: საწვრთნელი პროცესი არასტაბილურად წარი-

მართა და ნამდვილად არ ვიცოდი, რეალურად რისი გაკეთება შეგეძლოდა... მწვრთნელი, სწორედ ჩაგდებულ ვარჯიშებს გულსხმობდა.

მინსკში გასამართ მატჩამდე ერთი უსიამოვნო ფაქტიც დაფიქსირდა: მოხდა შეხლა-შემოხლა კალათბურთელთა შორის. ამის შესახებ ფორუმში წავიკითხე, ისიც ეწერა, მიხეილ ბერიშვილმა პიერ პირსთან იჩხუბაო. იმავე დღეს მოხდა დავაუქვე, თუმცა დამამშვიდა, ისეთი არაფერი მომხდარა, საჯაროდ გამოტანა რომ ღირდესო. ეს წერილი კალათბურთის ენება და არა კრივს, ამიტომ ჩხუბზე ყურადღების გამახვილება შეიძლება არც ღირდეს, თუმცა ფაქტს ვერსად გავექცევით: ახლახან დავაკვირდი, რომ მინსკში გამართული მატჩის ერთ-ერთ ფოტოზე პიერ პირსს თვალი აქვს ჩალურჯებული...

განმეორებითი მატჩის წინა საღამოს კალათბურთელები მინსკში კლუბის პრეზიდენტ მინდია გულუას შეხვდნენ და თავისი მდგომარეობა კარგად აუხსნეს.

უშუალოდ 11 ოქტომბრის მატჩი რა სხვაობითაც წავაგეთ, ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ბელარუსში 10 ქულას მხოლოდ ბრენდონ გაი ასცდა...

საქართველოს ჩემპიონატის დაწყების წინ კლუბის ხელმძღვანელებმა გა-

დაწყებულა ყველა მუშაკი დოპინგტესტზე გაეყვანა. მწვრთნელიდან დაწყებული ყველა გამოცხადდა გარდა სამი ამერიკელისა - მარკ სალიერსის, ფრენკ რობინსონისა და პიერ პირსისა. არ გამოცხადებია იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე კანონით აკრძალულ პრეპარატს იღებდა. თუმცა საკითხავი ისაა, ჰქონდათ თუ არა ტესტზე არ გამოცხადების უფლება.

ამასობაში ვაზეთ „ვერსიაში“ დაიბეჭდა ინტერვიუ კლუბის ვიცე-პრეზიდენტ თემურ ჩილაჩავასთან. იგი ამბობს:

- 13 ოქტომბერს საღამოს, კლუბის ადმინისტრაციამ სამ ლეგიონერს, რობინსონს, სალიერსსა და პირსს გაუგზავნა საპეტიციო მინგვეა 14 ოქტომბერს დოპინგზე კონტროლის გასავლელად. ეს სამი ლეგიონერი არც 14-ში გამოცხადდა შესაბამის სამედიცინო დანუსებულებაში. მაშინ, როდესაც მთელი გუნდი შემოწმებას გადის, სამი კალათბურთელი კი შეგნებულად არ მოდის ნარკოლოგიური ტესტის გასავლელად, ეს დიდი დარღვევაა.

მალე ზემოთ ნახსენებმა სამეულმა საქართველო დატოვა.

გავიდა რამდენიმე დღე და 24 ოქტომბერს, ორშაბათს საღამოს, გამოცემამ „მსოფლიო სპორტში“ გამოქვეყნდა

ღია წერილი მარკ სალიერსის ხელმოწერით, რომელშიც კალათბურთელი ამბობს, რომ დოპინგტესტის გავლა კონტრაქტით გათვალისწინებული არ ყოფილა...

იგი ასევე ყურადღებას ამახვილებს ერთ დეტალზე: მინსკის მატჩის შემდეგ მასთან მივიდა პიროვნება, გუნდის ხელმძღვანელების წარგზავნილად წარმოუდგა და უთხრა, რომ მისთვის ახალი კლუბი უნდა მოეძებნა, რადგან ხელფასის გადახდას აღარ აპირებდნენ.

როგორც „სოხუმში“ გვითხრეს, მარკთან მსგავსი არავინ მისულა.

წერილის ნაკითხვიდან რამდენიმე საათში „სოხუმის“ ვიდეოოპერატორმა ნუგზარ კერესელიძემ თქვა - ეს წერილი მარკ სალიერსის დაწერილი არ არისო. ბატონმა ნუგზარმა გამოგვიგზავნა „ფეისბუქზე“ სალიერსის გამოგზავნილი ტექსტის ორიგინალიცა და მისი სიტყვასიტყვით თარგმანიც:

„ერთადერთი, მე რაც ვთქვი, ვებგვერდზე განთავსებულ სტატიაზე პასუხისმგებელი იყო ქართველი აგენტი. საკალათბურთო კლუბ სოხუმიდან ვილაცხმე მისცა ინტერვიუ ტელევიზიას, რომ ჩვენ გადავიხადეს ფული თამაშის წაგებისთვის, რაც მტკნარი სიცრუეა და რამაც აღმამფთოა.

არ ნამიკითხავს ვებგვერდზე განთავსებული სტატია. ვიცოდი ისტორია ამ სახელწოდების ქალაქის, ძალიან მეამაყებოდა, რომ ვთამაშობდი ამ გუნდში. მომავალში მას წარმატებებს ვუსურვებ. გულწრფელად მეჯრა, კლუბის პრეზიდენტი კარგი ადამიანია და მან არ იცოდა თუ რა ხდებოდა კლუბში, მისი საქართველოში არყოფნის გამო.

მე არ დამინერია ის სტატია და არ ნამიკითხავს ის სანამ ჩემი აგენტი ვაგზავნიდა მას.“

ამის ნაკითხვის შემდეგ ცოტა დავიბენი, თუმცა სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით მარკ სალიერსის აგენტ ლევან მიქელაძეს უცხოეთში დაუკავშირდით. მისი კომენტარი ასეთი იყო:

- მარკ სალიერსისთვის ქართული ენა არ უსწავლელია, შესაბამისად ქართულად არც წერა იცის და არც - კითხვა. ის, რაც მან დაწერა, მე გადავთარგმნე. ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანი ის ფაქტებია, რაც წერილში ეწერა. მარკი მალე თბილისში ჩამოვა და თავის აზრს კიდევ დაავიქსირებს.

ისლა დავგრჩენია, მოვლენების შემდგომ განვითარებას დაველოდით. ისე კი უნდა ითქვას - რაც უფრო მშვიდობიანად მოგვარდება საქმე, მით უკეთესი იქნება ქართული კალათბურთისთვის.

ვაჟა სიმონიშვილი



კალენდარი ცვლილებები

მოგახსენებთ, რომ საკალათბურთო კლუბი „არმია“ მონაწილეობას იღებს ევროპულ საკლუბო ჩემპიონატზე ევროჩელენჯზე.

ამასთან დაკავშირებით „არმია“ კალათბურთის ფედერაციას წერილობით მიმართა თხოვნით, სუპერლიგის გათამაშების კალენდარში შესულიყო ცვლილება.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და სუპერლიგის ხელმძღვანელებმა საკალათბურთო კლუბ „არმია“ თხოვნა დააკმაყოფილა და კალენდარში შეიტანა შემდეგი ცვლილებები: 28 ოქტომბერს და 9 დეკემბერს ქუთაისსა და ბათუმში დაგეგმილი „არმიის“ ვასკლითი თამაშები ჩატარდება 29 ოქტომბერს და 10 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში, ხოლო ქუთაისსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებს შორის 5 ნოემბერს დაგეგმილი შეხვედრა, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში უნდა ჩატარებულიყო, გაიმართება ქუთაისის სპორტის სასახლეში.

29.10.2011
სოხუმი - სანახალი (მათაძე)
თსუ - ბათუმი 12:00
სტუ - რუსთავი 14:00
არმია - ქუთაისი 16:00
შსს - ოლიგაი 18:00
სოხუმი - დინამო 20:00
4.11.2011
ქუთაისი (ვაკაჩიძე)
ქუთაისი - თსუ 18:00
10.12.2011
სოხუმი (საბაძე) (მათაძე)
არმია - ბათუმი 12:00
www.supeleagua.ge



სუპერლიგა

III ტურის


SEASON 2011/12

29 ოქტომბერი
სპორტის სასახლე

თსუ-ბათუმი	12:00
სტუ-რუსთავი	14:00
არმია-ქუთაისი	16:00
შსს-ოლიგაი	18:00
სოხუმი-დინამო	20:00

როგორღე WTA-ის ჩემპიონატი

კაროლინ ვოზნიაცკი



რუსების შავი ღდა

სტამბოლში WTA-ის წლის შემჯავებელი ტურნირი „ნიტელი ჯგუფის“ მონაწილეების - რუსი ვერა ზონარევა და ჩეხი პეტრა კვიტოვა მატჩით გაიხსნა. სასტარტო გეიმებში მეტოქეები მიღებაზე თამაშობდნენ უკეთ. კვიტოვამ პირველმა გააკეთა ბრეიკი, მაგრამ ზონარევა მამინვე დაიბრუნა მოწოდება. ჩეხმა ასევე პირველად აიღო საკუთარი გეიმი, რისი წყალობითაც 4:2 დანაწიურდა. მეორე გეიმი პეტრამ „მშრალი“ ანგარიშით მოიგო და 5:2-ზე მატჩზე ჩანოდევის უფლება მიიღო. ბოლო გეიმში რუსი რამდენიმე უნებელი შეცდომით დაეხმარა მეტოქეს და კვიტოვამ პირველი პარტია იოლად მოიგო.

პირველი სეტი 34 წუთი გრძელდებოდა. აღსანიშნავია, რომ ვერამ საკუთარ მოწოდებაზე ჯამში 5 (1) ქულა აიღო.

კვიტოვამ მეორე პარტიის სტარტიდანვე გააგრძელა დომინირება და სწრაფი ბრეიკი გააკეთა. მესამე გეიმში ზონარევა შეწყვიტა ექვსგეიმიანი ნაგებების სერია და საკუთარი მოწოდება აიღო. რუსმა სცადა მიღებაზე გაბრძოლება, მაგრამ კვიტოვა უძლიერესი შეტევებით შანსს არ უტოვებდა მეტოქეს. მალე ჩეხმა პარტიაში მეორე ბრეიკი გააკეთა და დანაწიურდა - 4:1. მაგრამ ზონარევა იქვე დაიბრუნა მოწოდება, შემდეგ კი მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა.

კვიტოვამ მცირე პაუზის აღება გადაწყვიტა და კორტზე მწვრთნელს უხმო, მაგრამ ამ ფანდმა არ უშველა - ვერამ მეორე გეიმში ისევ გააკეთა ბრეიკი და ანგარიში გაათანაბრა - 4:4. თუმცა რუსისთვის სამწუხაროდ, კვიტოვა დროზე მოეგო გონს - უმნიშვნელოვანესი ბრეიკი გააკეთა და მატჩზე ჩასანოდელად გაემზადა - 5:4. კიდევ ერთი ბრეიკის გაკეთება ზონარევამ ვერ მოახერხა.

საათი და 24 წუთის ბრძოლის შემდეგ ანგარიში იყო 6:2, 6:4 კვიტოვას სასარგებლოდ.

გაცილებით საინტერესო იყო „ნიტელი ჯგუფის“ მეორე შეხვედრა მსოფლიოს პირველ ჩოგან კაროლინ ვოზნიაცკისა და აგნიეშკა რადვანსკას შორის. პირველ პარტიაში დანიელი ჩოგბურთელი დიდი ხანი აგებდა, მაგრამ 2:4-დან და საკუთარ მოედანზე 0:30-დან პარტიის გადარჩენის შემდეგ დანიელმა ინიციატივა მოიპოვა და წინ გასვლა კი მოახერხა. 5:4-ზე მსოფლიოს პირველ ჩოგანს პოლონელის მოწოდებაზე სამმაგი სეტბოლი ჰქონდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა და ბოლოს პარტიაც წააგო.

მეორე სეტში ვოზნიაცკის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა, მესამეში კი მეორე მატჩბოლიდან ბრეიკით დაასრულა მატჩი - 5:7, 6:2, 6:4.

მატჩი ორი საათი და 40 წუთი გაგრძელდა. კაროლინმა შეიძინა ბრეიკი გააკეთა, აგნიეშკამ - ხუთი. გამარჯვებულის ანგარიშზე სამი ეისი მოდის. მატჩში ერთადერთი ორმაგი შეცდომა ვოზნიაცკიმ დაუშვა. დანიელი რადვანსკასთან პირად შეხვედრებში 5:1-ს იგებს.

„თეთრი ჯგუფში“ გუშინ მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა. სტატისტიკის მიხედვით რუსი მარია შარაპოვასა და ავსტრალიელი სამანტა სტოსურის მატჩში ფავორიტი მარია უნდა ყოფილიყო, რომელსაც აშშ-ის ლია პირველობის ჩემპიონისთვის ცხრიდან ცხრა მატჩი ისე ჰქონდა მოგებული, რომ მეტოქეს მხოლოდ ორი სეტი დაუთმო.

მაგრამ სანჯის სეტში სამანტამ ეს სტატისტიკა არაფრად ჩააგდო და სასტიკად გაუსწორდა შარაპოვას. სტოსურმა სამიდან ორი ბრეიკი-პოინტი გამოიყენა, მეტოქეს კი თავის მოწოდებაზე ერთი შანსიც არ მისცა. 6:1 - ასე მოიგო ავსტრალიელმა 29 წუთში სანჯის სეტი. შარაპოვას ერთი ეისი და ორი

ორმაგი შეცდომა ჰქონდა. სტოსურს ეისი არ ჩაუწოდებია, მაგრამ არ შეცდომა დაუშვა.

პირველი პარტიის თითქმის უბრძოლველად წაგების შემდეგ, მარიამ მეორეში კომფორტული ლიდერობა მოიპოვა - 3:1, მაგრამ წარმატების განვრცობა ვერ შეძლო. სტოსურმა დაიბრუნა დაკარგული მოწოდება და ჩოგბურთელები 5:5-მდე სტაბილურად იგებდნენ საკუთარ გეიმებს, სანამ სტოსურმა მორიგი ბრეიკი არ გააკეთა მატჩში. 5:6-ზე მარიამ გაიბრძოლა და სამი ბრეიკი-პოინტი მიიღო, მაგრამ ვერცერთი ვერ გამოიყენა, სამანტამ კი პირველივე მატჩბოლი გამარჯვების ქულად გარდასახა - 6:1, 7:5.

მეორე მატჩის განმავლობაში ავსტრალიელმა ოთხი ბრეიკი გააკეთა, შარაპოვამ კი მხოლოდ ერთხელ აიღო მეტოქის მოწოდება. მარიამ ეისების რაოდენობა ოთხამდე აიყვანა, ორმაგი შეცდომებისა - ექვსამდე, სტოსურმა კი ვერც მეორე პარტიაში ჩააწოდა ეისი და არც ორმაგი შეცდომა ჰქონია.

„თეთრი ჯგუფის“ კიდევ ორი მონაწილე - ჩინელი ნა ლი და ბელარუსი ვიქტორია აზარენკა დღეს ითამაშებენ პირველ ტურს.

WTA WTA Championships სტამბოლი (თურქეთი). პარალი სპარინგ ფონდი: 4 900 000 დოლარი ნიშნული ჯგუფი პეტრა კვიტოვა (ჩეხ)-ვერა ზონარევა (რუს) 6:2, 6:4; კაროლინ ვოზნიაცკი (დან)-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 5:7, 6:2, 6:4. თანხები ჯგუფი სამანტა სტოსური (ავსტრ)-მარია შარაპოვა (რუს) 6:1, 7:5. გვერდი მოგზაურად გაიშვება

სხელი ხაზი

Table with 2 columns: Player Name and Score. Includes categories like UNDER 17, I ლიგა, II ლიგა.

Table with 2 columns: Player Name and Score. Includes categories like I ლიგის თასი, II ლიგის თასი, III ლიგის თასი.

Table with 2 columns: Player Name and Score. Includes categories like ზედაპირის თასი, 1/16 ფინალი.

Table with 2 columns: Player Name and Score. Includes categories like ლიგის თასი, 1/8 ფინალი.

Table with 2 columns: Player Name and Score. Includes categories like ლიგის თასი, 1/4 ფინალი.

Table with 2 columns: Player Name and Score. Includes categories like I ლიგის თასი, II ლიგის თასი, III ლიგის თასი.

Main table with 2 columns: Player Name and Score. Includes categories like 1/8 ფინალი, 1/4 ფინალი, 1/2 ფინალი, ATP 336, ATP ს. პეპერბერი, ATP ს. პეპერბერი.


TV პროგრამა

Table with 2 columns: Time and Program Name. Lists various TV programs and their start times.

Table with 2 columns: Time and Program Name. Lists various TV programs and their start times.

Table with 2 columns: Time and Program Name. Lists various TV programs and their start times.

● სპორტი



ბოიკოტი უიმბლდონს?

პრემიერის დიდი ალბათობა იმისა, რომ მამაკაცთა პროფესიული ტურის წამყვანი ჩოგბურთელებმა უარი თქვეს 2012 წელს უიმბლდონსა და ბრიტანეთის ტერიტორიაზე ჩასატარებულ სხვა ტურნირებში მონაწილეობაზე. ამის მიზეზი საპრიზო თანხებიდან აღებული დიდი გადასახადებია.

შეგახსენებთ, რომ ადრე ესპანელმა რაფაელ ნადალმა ერთ-ერთ ინტერვიუში უკმაყოფილება გამოთქვა დიდი ბრიტანეთის საგადასახადო კანონმდებლობის მიმართ. სწორედ ამის გამო, წელს რაფამ უიმბლდონის წინ უარი

თქვა ლონდონში გამოსვლაზე და მას გერმანიის ქალაქ ჰალეს ტურნირი ამჯობინა.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანელი ჩი-ნოვნიკები უცხოელ სპორტსმენებს არა მხოლოდ ბრიტანეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ჰონორარებიდან ახდენენ გადასახადებს, არამედ მთელ ტურში გამოშვებულ თანხასაც ბეგრავენ. საპრიზო თანხის 50-პროცენტია გადასახადის გარდა, ისინი შესაბამისი კანონის თანახმად ყოველი სპორტსმენის სხვა შემოსავლიდანაც ითხოვენ პროცენტს, - წერს BBC.

● ველოსპორტი



ლენდისი პაქარი ყოფილა

საპანელურად ცნობილ ამერიკელ ველომწიფე ფლოიდ ლენდისს, შესაძლოა, წინადადებით პაქტირობა მოუწავონ იმის გამო, რომ მან ფრანგული ანტისადოპინგო სააგენტოს ლაბორატორიების კომპიუტერებში შეაღწია.

ლენდისმა სახელი 2006 წელს გაითქვა, როცა ტურ დე ფრანსზე დოპინგის გამოყენებისთვის დისკვალიფიკაცია მიიღო. იმ წელს ამერიკელი ტურის ჩემპიონი გახდა, მაგრამ ტიტული ჩამოერთვა. მოგვიანებით ლენდისმა აღიარა, რომ მუდმივად იღებდა დოპინგს. მან ისიც გაამხილა, რომ ბევრი დაუსჯეელი ველომწიფე, მათ შორის ლეგენდარული ლენს არმსტრონგიც იყენებდა აქრძალულ პრეპარატს.

ხუთი წლის შემდეგ ლენდისი დადასტურდა ანტისადოპინგო სააგენტოს კომპიუტერული ბაზის "გატყვევისთვის".

ასევე წელინად-ნახევრით ციხეში შეიძლება მოხვდეს მისი ყოფილი მწვრთნელი არნი ბეიკერი. პროკურატურის აზრით, ლენდისი და ბეიკერი ლაბორატორიიდან მოპარულ დოკუმენტებს უკანონოდ იყენებდნენ. თუმცა გამომიგებას არ აქვს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ სწორედ ისინი იდგენენ ლაბორატორიის კომპიუტერებში შეღწევის უკან.

როგორც საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტოს პრეზიდენტი პიერ ბორდრი ამბობს, კომპიუტერები 2006 წელს „გატყვევს“, როცა ლენდისი ცდილობდა გაემართლებინა საკუთარი თავი ზედიზედ ჩაგდებული ორი ტესტის შემდეგ. ამერიკელმა მაინც ვერ დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. თავად ველომწიფეობა კომპიუტერულ ბაზაში შეღწევის ბრალდება უარყო.

● მძლეოსნობა

ფაუჯას რეკორდს არ უთვლიან

100 წლის ინდოელი მარათონელი ფაუჯა სინგხი ვერ ხვდება გინესის რეკორდების წიგნში. ამ მამაკაცმა მთელი მსოფლიოს ყურადღება იმით მიიპყრო, რომ 100 წლის ასაკში ტორონტოს მარათონი რვა საათში გაიბრძინა, რითაც ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი სტაიერი გახდა.

მაგრამ გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები არ აღიარებენ რეკორდს, რადგან ყველაზე ბებერმა მარათონელმა ვერ წარმოადგინა დაბადების მოწმობა. ბრიტანული პასპორტი ადასტურებს სინგხის დაბადებას 1911 წლის პირველ აპრილს, მაგრამ მაშინ ინდოეთში ახალდაბადებულთა აღრიცხვას არ აწარმოებდნენ, ამიტომაც რეკორდსმენს დაბადების მოწმობა არ გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ მარათონამდე სამი დღით ადრე სინგხმა კიდევ რვა რეკორდი დაამყარა 100-დან 5000 მეტრ დისტანციებზე.

● კალათბურთი. ინტერვიუ იონას ვალანჩიუნასთან

საბონისის საილუმინაციის მისი პაუზს განვიხილავ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ბოლო დრაფტის მეხუთე ნომერმა და ევროპული კალათბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა იონას ვალანჩიუნასმა წელს იუნიორთა შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მოგება მოახსრო (თანაც ამ ტურნირებზე MVP-ის ტიტული მოიპოვა). ასევე მის აქტივში შეიძლება ჩაიწეროს წლევანდელი ევრობასკეტი: ის საშუალოდ 15.7 წუთს ატარებდა მოედანზე და 8.4 ქულასა და 4.1 მოხსნას აგროვებდა.

ერთ-ერთი ლიტვური გამოცემისთვის მიცემულ პატარა ინტერვიუში ვალანჩიუნასი თავისი წარმატების საიდუმლოზე ლაპარაკობს.



იონას ვალანჩიუნასი

დაიბადა 1992 წლის 6 მაისს. სიმაღლე: 210 სმ. 109 კგ.
 ცენტრი. თამაშობდა ლიტვურ კლუბებში: „პერლასი“ (სეზონი - 2008/09, 2009/10), „ლეტუგოს რიტასი“ (2009/10 წლების სეზონის შუიდან).
 ტიტულები: ლიტვის ჩემპიონი - 2009/10. ლიტვის თასის მფლობელი - 2010.
 ლიტვის ნაკრების რიგებში გახდა MVP: ეწ-2008 (U16), ეწ-2010 (U18) და ეწ-2011 (U19).
 NBA-ის 2011 წლის დრაფტზე მეხუთე ნომრად აირჩია „ტორონტო რეპტორზმა“, მაგრამ კანადურ კლუბთან 2012 წლის ზაფხულამდე ვერ გააფორმებს კონტრაქტს - ასეთი პუნქტი არსებობს „ლეტუგოს რიტასთან“ მოქმედ კონტრაქტში.

წელი	საბონისის	ლიტვის	საბონისის	ლიტვის
2007 (U16)	7	7,9	2,3	2,9
2008 (U16)	8	23,5	14,3	11,1
2009 (U18)	9	27,6	19,3	10,6
2010 (U18)	9	30,2	19,4	13,4
2011 (U19)	9	30,9	23,0	13,9
2011	10	15,7	8,4	4,1

არვიდასი პრეზიდენტი



არვიდასი საბონისი

საბონისის პრეზიდენტი არვიდასი საბონისი, რომელიც 2006 წელს დააარსა, მსოფლიოში პირველი კალათბურთის კლუბი გახდა. კლუბის მფლობელი არვიდასი საბონისი, რომელიც 2006 წელს დააარსა, მსოფლიოში პირველი კალათბურთის კლუბი გახდა. კლუბის მფლობელი არვიდასი საბონისი, რომელიც 2006 წელს დააარსა, მსოფლიოში პირველი კალათბურთის კლუბი გახდა.

საბონისის პრეზიდენტი არვიდასი საბონისი, რომელიც 2006 წელს დააარსა, მსოფლიოში პირველი კალათბურთის კლუბი გახდა. კლუბის მფლობელი არვიდასი საბონისი, რომელიც 2006 წელს დააარსა, მსოფლიოში პირველი კალათბურთის კლუბი გახდა.

ოფიციალურად: იბაკა რეალელია

ევროლიგის საუკეთესო ზომბარდირი სიენაში ითავაზებს

მაღრიცხვით „რეალის“ ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, „სამეფო კლუბმა“ ორთვიანი კონტრაქტი გააფორმა „ოკლაჰომა-სიტის“ 22 წლის მძიმე ფორვარდთან სერჟი იბაკასთან. იმ შემთხვევაში, თუ NBA-ში ლოკაუტი უფრო ადრე დასრულდება, ხელშეკრულება ავტომატურად შეწყვეტს მოქმედებას.

იბაკა, რომელიც უფრო ადრე „მანრესა“ და „ვალენსია“ იყვნენ დაინტერესებულნი, ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა. NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის 82 მატჩში სერჟი საშუალოდ 9,9 ქულას, 7,6 მოხსნასა და 2,4 დაფარებას აგროვებდა.



სერჟი იბაკა

სერბეთის ნაკრების მცველი იგორ რაკოჩევიჩი იტალიის ლიგაში გადადის სათამაშოდ. კალათბურთელმა 1+1 სქემით გააფორმა კონტრაქტი „მონტეპასკისთან“.

ბოლო ორი წლის განმავლობაში 33 წლის რაკოჩევიჩი „ევეს პილსენში“ თამაშობდა, მაგრამ გასული სეზონის შემდეგ შეზღუდული უფლებების აგენტი გახდა.

გასულ სეზონში რაკოჩევიჩი ევროლიგაში საშუალოდ მატჩში 17,2 ქულას აგროვებდა და ზედიზედ მესამედ გახდა ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი.

გვერდი მოაზადა
გია თვალაჯიუხილა